პროლეტარელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 207 (18449) ოთხშაბათი, 8 სექტემბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.



საქართველოს საჰაერო ტრანსპორტი

პარტიული პოზიცია

ბევრი დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა ყოველდღიურად აყენებენ ბევრ პრობლემას, რომელთა წარმატებით გადაწყვეტა პარტიული მუშაობის სტილის მუდმივ სრულყოფა-გაუმჯობესებას, მუშაობის ყველა უბანზე პარტიული გავლენის გაძლიერებას მოითხოვს. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების მანძილზე, საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებში მუდმივად ჩნდება, იბადება მუშაობის ახალი, ქმედითი, საინტერესო ფორმები და მეთოდები. სოლო აქსიომაა, რომ რამდენადაც ეფექტანია ეს ფორმები და მეთოდები, იმდენად მაღალია მთელი ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური საქმიანობის დონე.

„ხელმძღვანელობის სტილი და მეთოდები,— აღნიშნა ამბანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, — მთელი პარტიისათვის, მთელი საზოგადოებისათვის დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ყოველი პარტიული ხელმძღვანელის პირდაპირი მოვალეობაა ასხოვდეს ეს, ყოველდღიურად და ყველაფერში ხელმძღვანელობდეს ლენინური ნორმებით!“

დიახ, მართლაც გაგვიმრავლდა საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომის, უნარიანი პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება. ჩვენი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკისათვის, ეკონომიკის სხვადასხვა უბნებისადმი ხელმძღვანელობისათვის დღეს უფრო მეტად დამახასიათებელია საქმიანობა, მეცნიერული დასაბუთებულობა, მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევის წინასწარჭვრეტა.

მაგალითად, თბილისის, ქუთაისის, ფოთის საქალაქო, აბაშის, მახარაძის და მთელი რიგი სხვა რაიონული პარტიული ორგანიზაციები კარგ შედეგებს აღნევენ სანარმოო კოლექტივების შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებისათვის, მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის მუშაობაში. სწორედ მათთან იშვა და მთელ რესპუბლიკაში გავრცელდა ბევრი სიახლე, ბევრი სამეურნეო ინიციატივა. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში მოქმედებს ქალაქის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მაჩვენებელთა მიღწევისათვის მუშაობის მართვის მნყობრი სისტემა; გორის რაიონის მშრომელებმა ნამოიწყეს შეჯიბრება დევნილი: „წარმოების რეზერვები — ქვეყნის იუბილეს!“, სანარმოთა დამხმარე მეურნეობების მუშაობის კოორდინაციის მიზნით ფოთში ტერიტორიულ-დარგთაშორის გაერთიანებასთან შექმნილია სასურსათო განყოფილება. საყოველთაოდ ცნობილი „ბაბაური ექსპერიმენტი“ ჩომ მთელი ჩვენი ქვეყნის კუთვნილება გახდა.

საქმისადმი პარტიული, შემოქმედებითი მიდგომის მაგალითებია როგორც რესპუბლიკაში, ისე ქვეყნის მოწინავე კოლექტივებში ნამოწყებული თაოსნობანი: „ეკონომიათა უჩამორჩენელობად“, „ყოველი სანარმო რესპუბლიკაში, დარგში, ქვეყანაში მოწინავე უნდა იყოს“, „მთლიანად შეეინარჩუნოთ ჭირნახული“ და სხვა მრავალი. ასეთი მაგალითები კი, როცა პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტიული ორგანიზაციები გაბედულად უდგებიან საკვანძო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრას, როცა საამისოდ შეტად ოტმიანურ ვარიანტებს პოულობენ, შეიძლება დაუსრულებლად დავასახელოთ.

ამიტომ საჭიროა ყველგან მეტი ყურადღებით შეისწავლონ მოწინავე პარტორგანიზაციათა პრაქტიკა, შემოქმედებითად გამოიყენონ იგი თავიანთ საქმიანობაში. პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტორგანიზაციებმა უნდა ასწავლონ სამეურნეო მუშაკებს, რომ მათ სწორად შეუხამონ საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესები დარგის, საწარმოს, მეურნეობის, ქალაქისა თუ სოფლის მოთხოვნილებებს.

ეს კი მეტად საჭიროა დღეს, როცა მიმდინარე მეთერთმეტე ხუთწლედისა და მომდევნო ხუთწლედების მასშტაბი მოითხოვს ჩვენი კადრების, თითოეული კომუნისტის განსაკუთრებულ ყოფნასა და გერგილიანობას. ყოველ საქმეს ნომ ადამიანი უძღვება, ხოლო . გერგილიანობა ყოველ მუშაკს უნდა განუვითარდეს პარტიული ორგანიზაციების მხრივ განეული გულმოდგინე აღმზრდელობითი მუშაობით.

როგორც ცნობილია, ხშირად საქმეს წინ ეღობება საუნყვნო და ბიუროკრატიული ბარიერები. ამიტომ ასეთ დროს ძალიან ბევრი რამის გაკეთება შეუძლიათ სამინისტროთა და უწყებათა პარტიულ ორგანიზაციებს, რომელებსაც როგორც პარტიის XXVI ყრილობის ტრიბუნიდან მოუწოდეს, მეტი ინიციატივა, მეტი პრინციპული ბრძოლა მართონ. საჭიროა მეტი ფხიზლობა, რომ უკომპრომისოდ დაიცვან სახელმწიფოებრივი ინტერესები.

დასამალი რდია, რომ ჯერ კიდევ ზოგი შრომითი კოლექტივი, ხელსაყრელი პირობების მიუხედავად, ვერ ასარულებს ეგრეთ წოდებულ „სხვის“ შეკვეთებს ან მხოლოდ ისეთ პროდუქციას უშვებს, რომელსაც ბევრი თავისებება და ვაბირი არ სჭირდება. სწორედ პარტიული პოზიციებიდან რომ მისდგომოდნენ საქმეს, საერთო-სახელმწიფოებრივი ინტერესებით რომ ეხელმძღვანელათ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების ხელმძღვანელებს, არ ჩამორჩებოდა ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა. როგორც ფაქტები მოწმობს, ამ საწარმომ თბილისიდან სამყოფი რაოდენობით ვერ მიიღო ფოლადის სხმული, ავტომშენებლებმა კი დროზე ვერ მიანოდეს ზოგიერთი მაკომპლექტებელი ნაწარმი. რკინიგზელებმა ვაგონები ვერ უზრუნველყვეს, დაალაგატეს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“, რომელმაც ასევე ვერ შეძლო ნლევანდელი ზეიდი თვის დავალების შესრულება. პარტიული კომიტეტები მეტ პრინციპულობას უნდა იჩენდნენ ასეთი ფაქტებისადმი, ყოველი ღონისძიებით ამაღლებდნენ კომუნისტების, პარტიელი, საპჭოთა და სამეურნეო კადრების პასუხისმგებლობას.

საქმისადმი პარტიული მიდგომა უმჯობესია, რომ არ დაუშვათ სახელმწიფო გეგმების შეუსრულებლობა, მუდამ-ყოფ ვეძებოთ, ბამოგნახოთ ახალ-ახალი გამოუყენებელი რეზერვები, ნინააღეუდგეთ, მკაცრად შეეუბრძოლოთ დაკარგებათა დაუსაბუთებელი შემცირება-კორეტირების ცდებს, უყაირათობისა და მფლანგველობის, სახელმწიფო ქონებისა და დოვლათის ხელყოფის ფაქტებს.

დღეს, როცა სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებების, დიდი იუბილეს შესახებ-ვად საქართველოს პარტიული ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, შარშან საქართველოს საიუბილეო დღეებში ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ მოცემული მითითებების მიხედვით უსოდენ დიდი და მასშტაბური ამოცანები გვაქვს დასახული, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მეცადინეობის, მთელი ძალებისა და საშუალებების მაქსიმალურ თავმოყრას, გაერთიანებას. მთავარი ის არის, ყოველმხრივ გავაკეთეროთ პარტიულ კომიტეტებთან, სამინისტროებსა და უწყებებთან, სხვადასხვა ორგანიზაციასთან შექმნილი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მოქმედება, რომ რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვავლინოთ ნარმოების გადიდებისა და ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები, დავსახოთ ნაკლოვანებათა დაძლევის გზები და საშუალებანი.

პარტიული მუშაობის ამ საინტერესო სიახლემ ბევრგან, რესპუბლიკის მეტნილ პარტიულ ორგანიზაციებში შესანიშნავი შედეგები მოიტანა. დადებითი ტენდენციები კიდევ უფრო თვალნათლივ გამოჩნდა ნლეულს, როცა ბუნების განსაკუთრებულმა ჭირვეულობამ უდიდესი სიძნელეები შეუქმნა ჩვენს სახალხო მეურნეობას, როცა საგრძნობლად დაზარალდა რესპუბლიკის თითქმის ყველა სასოფლო რაიონი. და აი დანაკლისის ასანაზღაურებლად მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში გამოინახა მილიონობით მანეთის დამატებითი პროდუქციის წარმოების რეზერვები და საშუალებანი.

ქ. ზუგდიდის მრწყველობამ მიმდინარე ნლის ნახევარში 3,5 მილიონი მანეთის ზეგეგმით პროდუქცია გამოუშვა, ერთიანრად მეტი, ვიდრე მთლიანად ამ საიუბილეო ნლისათვის ვალდებულებით იყო ნაკისრი. ეს კი სწორედ პარტიის საქალაქო კომიტეტთან შექმნილი სამუშაო ჯგუფების, კომისიებისა და შტაბების ხელშეწყობით მოხდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, გვხვდება ფაქტებიც, როცა ახალ, მეტად სასარგებლო საქმეს უმოქმედობითა და ზერელე, ფორმალური დამოკიდებულებით სერიოზული ჩრდილი ადგება. ზოგან ცოცხალ საქმეს ცვლის ქალალდმთხზველობა ან წუწუნი სიძნელეებზე, ნაცვლად იმისა, რომ ჭეშმარიტი მუშაობისათვის, რომ იტყვიან, ხელები დაიკაპიწონ.

მეტად პასუხსაგები ამოცანები დგას იმ 16 სამუშაო ჯგუფისა და კომისიის წინაშე, რომელნიც პარტიის ყაზბეგის რაიკომთან შეიქმნა რაიონისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ ისინი დღემდე ჯეროვანი ეფექტიანობით არ მოქმედებენ, ხშირად „ზემოდან“ მითითებებს ელოდებიან. საჭირო ინიციატივას ვერ იჩენენ აგრეთვე ტყვარჩელისა და ზესტაფონის საქალაქო, საშუალო, თიანეთისა და სხვა რაიონულ პარტიულ კომიტეტებთან შექმნილი სამუშაო ჯგუფები.

ეკეკავოს პარტიული პოზიცია — ეს ნიშნავს, მუდამ ფიქრობდე წინსვლის გზებზე, მუშაობდე პერსპექტივით. თანამედროვე პირობებში წინსვლის სწრაფ ხა მყარ ტემპს ვერ უზრუნველყოფთ, თუ არ გვითვალისწინეთ ვითარების მიმნდებელი ცვლილებები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტენდენციები. სწორედ ეს ერთხელ კიდევ შესანიშნავად შეახსენა ჩვენს პარტიულ და სამეურნეო კადრებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმმა, რომელიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებს მიეძღვნა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის ფაქტები, რომელნიც კომუნისტი ხელმძღვანელები ვერ მიპყვებიან ფეხდაფეხ დროის მოთხოვნებს, ჯეროვან ებლაუფებიან მუშაობის აპკარად მოძველებულ, დაბალეფექტიან წესებს, გაკრძალნ სიახლეს და ზოგჯერ თავიანთ კონსერვატიზმს ხიფთხილის გამოჩენის საბაბით ამართლებენ. პარტიული კომიტეტების, ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ის არის, რომ მკაცრად მოპკიფხონ ყველა მუშაკს, ყველა კომუნისტს, რომელსაც ურჩევნია მხოლოდ ძველი, ოდესღაც გაგკეთნილი გზით სარული, არ იჩენენ გაბედულებას, მით უფრო დაინტერესებას, რომ ნაკლები დანახარჯებით მეტი სიკეთე შეიქმნას.

განსაკუთრებით უნდა ეკაქტიურდეს ადმინისტრაციის საქმიანობისადმი პარტიული კონტროლის კომისიათა საქმიანობა. შეიძლება დაკვანსელთ მრავალი ფაქტი, როცა უყაირათობით, დანაშაულებრივი ხელგაშლილობით წყალში იყრება ტონობით ლიფონი და სანუვა-საკობი მასალები, უმიზნოდ იხარჯება დიდძალი ელექტროენერგია, მზეხვიმაში იკანება და გამოუყენებელი ხდება ძვირფასირებული მანქანა-იარაღები. ხელავდე ასეთ ფაქტებს და საჭიროა ზომებს არ იღებდე, კონკრეტულ დამნაშავეს არ სჯიდე — ეს რა პარტიული პოზიციაა?!

მაგალითად, მაიაკოვსკის რაიონის ხანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელები, რიგითი კომუნისტებიც უამაყოფილებასს გამოთქვამენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიძვირის გამო, მაშინ როცა სოფლის გზებზე და სახნავ ფაროობებში ბევრგან შეხვდებით არა მარტო ტრაქტორის ნაწილებს, არამედ თვეების მანძილზე უპატრონოდ მიტოვებულ, გაჩარგულ მანქანა-იარაღებსაც. ამ ფაქტს, ვფიქრობთ, კომენტარი აღარ სჭირდება.

ანდა, საქმისადმი რა პარტიული დამოკიდებულებაა, როცა საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელები შეეგუებენ, რომ აქ ნლითიან უმოძრაოდ იყოს მატერიალური ფასეულობანი?!

დღეს, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, საიუბილეო წლის დავალებათა შესასრულებლად ახალ-ახალი რეზერვების გამოძებნა-ამოქმედებისათვის, ფაინე დგომა, გულგრილობა, უმოქმედობა, მართლაც რომ დანაშაულია, არაპარტიული, არაკომუნისტური პოზიციაა.

ამიტომ, პარტიულ ორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ, რომელიც სულ ახლახან დაინყო, კიდევ უფრო უნდა გააქტიუროს პირველადი და საამქრო პარტორგანიზაციების, პარტიული ჯგუფების საქმიანობა იმ მხრივ, რომ უკანონოა ყველა კომუნისტი, ყველა შრომითი კოლექტივი შემოქმედებითად იღვწოდეს წინსვლის რეზერვების დროული ამოქმედებისათვის, როგორც მიმდინარე წლის, ისე მოლიანად ხუთწლედის პასუხსაგებ დავალებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

60 საიუბილეო ვაჯახზე

ბათუმი

ბათუმი. (საკ. კორ.). საიუბილეო შრომითმა ვაჯახზე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდების კოლექტივები.

სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს და საზღვაო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა, მეორე და მესამე ფულადი პრემიები მიეკუთვნათ თბილისელებს — „ფილიპე. მახარაძისა“ და „ალექსინის“ ეკიპაჟებს. საქართველოს სანაოსნოს პირველი პრემიები დაიმსახურეს გემების „ასპინძისა“ და „ნიკოლოზ ვარნესენისას“ ეკიპაჟებმა; მეორე პრემიები — „ჩკალოვის“, „ნიკო ნიკოლაძისა“ და „ალექსანდრე კონენეჩკინის“, მესამე „ფაინ გურამიშვილის“, „ვასილ კიკვიძისა“ და „გიორგი ლეონიძის“ ეკიპაჟებმა.

გარდამავალი წითელი დროშებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვდნენ სოხუმის ნავსადგურის, ბათუმის ფლოტის ტექნიკური მომსახურების ბაზის, „ტორგმონტრანსლის“ ბათუმის კანტორის კოლექტივები. გამოვლინდნენ საწარმოებისა და გემების წყვილთა შორის შეჯიბრების გამარჯვებულნი.

აღსანიშნავია, რომ სანაოსნომ კაბოტაჟის ტვირთბიდვის მეორე კვარტალის გეგმა 102,4 პროცენტით შეასრულა, ტვირთის დამუშავებისა — 111,4 პროცენტით.

მ. გოგაბილაძე.

ჩხოროწყუ

ადგილობრივი მეფრინველეობის ფაბრიკის (დირექტორი რ. გოგუა, მთავარი ზოოტექნიკოსი ს. კვარაცხელია) ახალგაზრდა კოლექტივმა მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წელი სასახელო წარმატებებით დაამთავრა. ასევე კარგი სტატი აიღეს წელსაც. 7 თვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

კვერცხი საგეგმო 1625 ათასის ნაცვლად წარმოებულია 1657,6 ათასი ცალი. სახელმწიფოს მიეყიდა საგეგმო 1405 ათასის ნაცვლად 1605,2 ათასი ცალი. გადაჭარბებით შესრულდა ფრინველის სულადობის ზრდის გეგმა. 37,7 ათასის ნაცვლად მყავი 55,7 ათასი ფრთა, აქედან მოკვეთილი უნდა იყოს 16,7 ათასი, ფაქტობრივად კი 19,5 ათასია. სახელმწიფოს ზრუნე მიეყიდა 21 ცენტნერი 19,5 ცენტნერის ნაცვლად.

ეს წარმატება განაპირობა შრომის სწორმა ორგანიზაციამ, დისციპლინის განმტკიცებამ, მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებამ, სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობამ.

ჩხოროწყუელმა მეფრინველეებმა, რომელნიც საიუბილეო შრომის ვაჯახზე დგანან, ვალდებულება აიღესრეს წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ.

ი. ნაბაყვარია.

გეგმა — გადაჭარბებით

საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში ჩაბმული და სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის მებრძოლი ლენტეხის რაიონის მშრომელები წლევანდელ უამინდობას ბეჯითად შეებრძოლნენ. მათ პირველი სექტემბრისათვის წარმატებით შესრულეს საკვების დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად საგეგმო 11 ათასი ტონისა, დაამზადეს და ფერმებამდე მიზიდეს 12 ათასი ტონა თივა. გადაჭარბებით შესრულდა სენაჟის დამზადების გეგმაც.

ეს რედაქციას აცნობეს საქართველოს კომპარტიის ლენტეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. ბუნავამ** და სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **დ. ტვილდიანმა.**

ერედვლთა შრომის ნაყოფი

ბირველი ამინდები იდგა. ზნირი წვიმები მოსავლის აღებას ხელს უშლიდა, როგორც კი მზე გამოანათებდა, მას მიხდოურში ხვდებოდნენ მექანიზატორები.

ორი წელია თავთავიანი მარცვლეული ერედვლის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში იპატოველთა მეთოდით მოჰყავთ... შრომის რგოლური იჯარა ერედვლელმა მექანიზატორებმა აბამლებისაგან ისწავლეს და ახლა მეტად ქმაყოფილი არიან. მოსავლის მოყვანის ინდუსტრიული მეთოდი საფუძვლიანად დამკვიდრდა ერედვლში. ხვნა, თესვა, სასუქების შეტანა, მკა, ლეწვა... მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკით. გასამყვლო? ჩინეთელი. გეგმის შესრულებისათვის 1 ტონა მარცვალი ჯილდოდ, ყოველი გადაჭარბებული ცენტნერიდან კიდევ 30 პროცენტი სარჩენად. დაინტერესდნენ, ოფლი ღვარეს და მოსავალიც ჩინეთელი მოიწიეს ეგი და გოგი ბერუაშვილის, ტრისტან ხადურის მექანიზატორმა ოთხმა ნასულებმა — 157 ჰექტარი ფართობის თითოეულ ჰექტარზე საშუალოდ 37 ცენტნერი ხორბალი. ჩინეთელიან ეს გეგმის გადამეტებით ყოველ ჰექტარზე 13 ცენტნერია. ზოგიერთ ფართობზე კი ქერის მოსავალმა 60-70 ცენტნერი შეადგინა.

როგორ აღწევთ ასეთ უხვ მოსავლიანობას? — ვეკითხები მექანიზატორთა რგოლის ხელმძღვანელს გოგი ბერუაშვილს.

— რა თქმა უნდა, უწინარესად პროფესიის სიყვარულით. საქმე, რომელსაც ადგას კაცი, უნდა გიყვარდეს. შემდეგ კი წარმატებას მატერიალური და მორალური წახალისება განსაზღვრავს. ნელი შრომითი წარმატება რგოლურმა იჯარამ გაასაზღვია. დიდი გულმოდგინეობით, აგროვადების დაცვით დავამთავეთ თესვა შემოდგომაზე. მხოლოდ ხარისხოვანი თესლი დათესეს. „სოფლქიმიის“ საოლქო გაგზავნებამ (უფროსი — ბ. ჯოოვი) დიდი დახმარება გაგვიწია — მთელი ფართობი სასუქებით გავანაყიერეთ. კარგად ჩათესილი თანაბრად ამოვიდა. მექანიზატორებმა იგი ორჯერ კიდევ ადრე გამოვკვეთეთ გაზაფხულზე. შემდეგ დაიფარცხა ზიგზაგით, ნათოსს წყალიც არ მოვაკლეთ და დაპურდა ყანა... მოსავლის აღებაც ორგანიზებულად დავიწყეთ და ასევე სწრაფი ტემპით დავამთავეთეთ.

მოსავლის აღების დროს ყველა მექანიზმი ზუსტად შუშაობდა, ხელმეწყობა კარგი გვქონდა, მეურნეობის თავკაცი გიორგი ხადური თითქმის მთელი დღეობით მოსავლის აღების ფრონტზე იყო და, როგორც იტყვიან, ჩინებულად დირიჟორობდა. გვქონდა თბილი კერძები, კულტურული მომსახურება და ყველაფერმა ამან ბული გაგვახალისა. შრომადაფასებული ვართ ახლა და გული ამაყოფილებით ორის სავსე. რომ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში სამხრეთ ოსეთში ერთი პირველი ბეჯითი სიტყვა ჩვენ ვთქვეთ, ამბობს მექანიზატორი გოგი ბერუაშვილი და ხორბლისფერი სახე გასაოცარი სიამოვნებით ეცინა.

სახალოლით ეესესთ გული სხვებსაც. საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილეს მათ ძეიფასი შრომითი ნობათი მოუწმენდეს — 13 ცენტნერი ზეგეგმითი პური — ყოველ ჰექტარზე!

გ. თედეევი.

ჩაის მიკროფაბრიკა

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ ცეცხვათში მწყობრში ჩაეფინ კოლმეურნეობის საკუთარი სახლებით აშენებული ჩაის ფოთლის გადასამუშავებელი მიკროფაბრიკა. მის საკაბრეებში დადგმულია ჩაის სამრეთი ღუმელი და სხვა თანამედროვე ტექნიკა.

ახლა ცეცხვათელები მოკრეფილ ჩაის ფოთოლს ადგილზე ამუშავებენ, რაც დადებითს გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. გარდა ამისა, შემცირდა ნედლეულის ტრანსპორტირების ხარჯები. გაიაფდა გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება. მიკროფაბრიკა მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ზონის სოფლებს, რათა ჩაის ნედლეულის ფარმოებისა და გადასამუშავებელი ძრეწველობის სიმძლავრეებს შორის ალმოიფხვრას დისპროპორცია, რომელიც ყველაზე მეტად პიკის პერიოდში შეიმჩნევა.

ბაზალეთის მაგალითისამებრ

ბაზალეთი. (საკ. კორ.). ბაზალეთის ფეხბურთელებმა „ტუ-154“ თვითმფრინავის ეკიპაჟი, რომელიც ხელმძღვანელობს ბომალდის . მეთაური, პირველი კლასის პილოტი გიორგი ხალარეიშვილი. ამ კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სტარტიორზე: „ტუ-154“ თვითმფრინავის ეკიპაჟი (მარცხნიდან) ბორტინჟინერი ვლადიმერ დობრიდინი, ბომალდის მეთაური, პირველი კლასის პილოტი გიორგი ხალარეიშვილი, შტურმანი იური კაჩალავოვი და მეორე პილოტი ვლადიმერ კვიტინაძე; ჩასხდომა დაიწყო...

ა. რუხაძის ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაზალეთის ავიაპორტს

თბილისის აეროპორტს სამართლიანად უწოდებენ ქალაქის საჰაერო კარიბჭეს. იგი ყოველდღიურად იღებს და უშვებს ათობით თვითმფრინავს. მოსკოვი და ლენინგრადი, კიევი და ტაშკენტი, სვერდლოვსკი და ნოვოსიბირსკი, ვორონეჟი და ვოლგოგრადი, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების დედაქალაქები — ეს იმ ქალაქების არასრული ნუსხა, რომლებთანაც საქართველო საჰაერო ტრასებით არის დაკავშირებული.

აეროპორტის მანქანების პარკში შედის „ტუ-134“ და „ტუ-154“ კომფორტული ლაინერები. თვითმფრინავების პარკი ბაზალეთში ახლდება ახალი მოდიფიკაციის მანქანებით.

ქართველმა ავიატორებმა, რომლებიც ღირსეულ შეხვედრას უმზადებენ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება.

შრომითს მეტოქეობაში ლიდერობს „ტუ-154“ თვითმფრინავის ეკიპაჟი, რომელიც ხელმძღვანელობს ბომალდის . მეთაური, პირველი კლასის პილოტი გიორგი ხალარეიშვილი. ამ კოლექტივს არაერთხელ გაუმარჯვია სოციალისტურ შეჯიბრებაში.

სტარტიორზე: „ტუ-154“ თვითმფრინავის ეკიპაჟი (მარცხნიდან) ბორტინჟინერი ვლადიმერ დობრიდინი, ბომალდის მეთაური, პირველი კლასის პილოტი გიორგი ხალარეიშვილი, შტურმანი იური კაჩალავოვი და მეორე პილოტი ვლადიმერ კვიტინაძე; ჩასხდომა დაიწყო...

ა. რუხაძის ფოტო (საკინფორმის ფოტოქრონიკა).

ბაზალეთის ავიაპორტი

ბაზალეთის ავიაპორტი

ბაზალეთის ავიაპორტი

წიგნის მოყვარულები — ხუთწლედის მხარდამჭერ!

პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული ჩვენი ხალხი სსრ კავშირის მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა, მათ შორის სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელებისათვის რომ იბრძვის, დიდ და პასუხსაგებ ამოცანებს უსაბამს წიგნის მოყვარულთა საზოგადოებას, მის ორგანიზაციებს, მუშაკებსა და აქტივს, რომლებიც მოწოდებული არიან წიგნის დიდი ძალა უნარიანად ჩააყენონ დასახული ამოცანების გადაწყვეტის სამსახურში. ეს კი, ცხადია, იდეალი საქმე არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ წიგნისმოყვარულებს ამ მხრივ ჯერ კიდევ არა აქვთ საკმაო გამოცდილება. ზოგან კი თვლიან, რომ ისინი მხოლოდ საგამნათლებლო მუშაობას უნდა ეწეოდნენ და არა აღმრდელობითს, მამობილიზებელს, მხლოდ ცოდნას, განათლებას უნდა აძლევდნენ ადამიანებს და სხვ.

ამისათვის, რომ წიგნისმოყვარულებს სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ მათი სახოგადოების მოვალეობაზე, მის აღმრდელობითს და მამობილიზებელ ფუნქციებზე, სისტემატიურად განეთმარტავთ, თუ თავიანთი პროპაგანდისტული და ორგანიზატორული შუამობა რაოდენ შეშრმელებს ძალეი წესრიგის დამხობაში, ახლის აშენებაში.

ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის, პოლიტიკური კულტურისა და შრომითი აქტიურობის ამაღლებისათვის ზრუნვა ჩვენ, წიგნის მოყვარულებს ყველზე უფრო გვეჭიდება ახლა, როცა ქმედითი მონაწილეობა უნდა მიეღოთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში, რომლის კონკრეტული გზები დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

პროპაგანდისტულ საქმიანობაში დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის მასალები, რომელიც სასურსათო პროგრამის განხორციელებას მიეძღვნა და სადაც სხვა საკითხებთან ერთად ღონად და დაწურულებთან არის განხილული ჩვენი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური დარგების შემდგომი განვითარების აქტუალური პრობლემები.

საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ პლენუმების დოკუმენტების ფართო პროპაგანდის მიზნით დაბეჭდა და ადგილებზე დაგზავნა სპეციალური პლაკატი, მეთოდიური მითითებები, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული სია. ამ საკითხზე გავმართავთ პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომას, სადაც ფართო აქტივთან ერთად ვიმსჯელებთ სასურსათო პროგრამის განხორციელებაში ჩვენი როლისა და წვლილის გაზრდის აქტუალურ პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ ეწევიან ჩვენი მუშაკები, აქტივისტები ადგილებზე უკვე გამოცემული წიგნების პროპაგანდასა და პოპულარიზაციას, რა ფორმებს იყენებენ ამისათვის, რა უშლით ხელს მუშაობაში.

წიგნს დიდ აღმრდელობითსა და მამობილიზებელ ფუნქციას რომ ვანიჭებთ, მიზანიც ნათელი და გამოკვეთილი გვაქვს. წიგნის, მისი შინაარსის პროპაგანდამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანის გაჯეროვარების, ზნეობრივ სრულყოფას, მტაცე ნებისყოფის გამომუშავებას. ჩვენ იმასაც ვთვალისწინებთ, რომ ზოგს შეუძლია ერთდროულად მოაზდინოს გავლენა მკითხველთა გონებასა და გრძნობებზე, სტიმული მისცეს ადამიანთა შემოქმედებითი აქტიურობის ზრდას. და ჩვენც ვცდილობთ წიგნის იქ უნარი მთელი ეკუთვნით ჩავაყენოთ სასურსათო პროგრამის, მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელების სამსახურში.

მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის იდეური, პატრიოტული, ინტერნაციონალური აღზრდისათვის ვცდილობთ უნარიანად გამოვიყენოთ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილესთვის მზადება, ეკრძოდ, ქვეყნის, პარტიის მბრძოლი ისტორიაზე შექმნილი წიგნების პროპაგანდა. აქ კარგ სამსახურს გვიწევს მკითხველებთან ფართო წიგნებიანი მისვლა, როგორიც არის ვ. ი. ლენინის „ახალგაზრდობის კავშირის ამოცანები", ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის „მოგონებანი", ა. ჩაკოვსკის „გამარჯვება", ნ. დუმბაძის „მარადისობის კანონი" და სხვ.

**მშრომელთა პროფესიული დაოსტატებისათვის დიდ მუშაობას ეწევიან წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ენციკლოპედიის ორგანიზაციის (თავმჯდომარე — რ. ძნელაძე) აქტივისტები ნ. შარტავა, ნ. აკობია, მ. ჭაკვა, ბ. აგუმოვა, გ. ედიგარი და სხვები. ისინი რეგულარულად აწყობენ განხილვებს, ბიმხილვეთის ლექციებს ისეთ წიგნებზე, როგორიც არის ა. პო

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲝᲖᲔ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებიდ პირიდელი სამედიცინო ჟურნალი არ არსებობდა. ქართველ ექიმთა სამეცნიერო ნაშრომები უმთავრესად იბეჭდებოდა რუსულ პერიოდულ პრესაში ცალკე მონოგრაფიებად და კაკასიის სამედიცინო საზოგადოების „შრომათა კრებულებში, რომელთა შესახებ ცნობები ქვეყნდებოდა მაშინდელ ქართულ პრესაში.

ქართულ ენაზე სამედიცინო სამეცნიერო ჟურნალის დაარსების იდეა დიდხანს ვერ განხორციელდა. პირველად 1914 წელს ოდესაში მყოფ ქართველ მეცნიერთა და სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა ქართულ ენაზე გამოსცა სამედიცინო შრომათა კრებული სათაურით: „ცხოვრება და მეცნიერება“, სადაც რამდენიმე სამედიცინო ხასიათის წერილი გამოქვეყნდა. პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო ამ კრებულის მომდევნო ნომრები არ დაბეჭდილა.

ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებამ 1919 წელს დააარსა ჟურნალი „ექიმი“, რომლის მხოლოდ რვა ნომერი გამოვიდა.

რეგულარული ქართული სამედიცინო ჟურნალის გამოცემა დაიწყო 1922 წლის აპრილიდან სახელწოდებით; „ჯანმრთელობის სახალო კომისარიატის მოამბე“, რომელსაც 1929 წელს „საბჭოთა მედიცინა“ ეწოდა. ამ ჟურნალის ფურცლებზე დღემდე თქვდება სამედიცინო მეცნიერებისა და სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში.

ათი წლის წინათ ქართული სამედიცინო ჟურნალის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ვიდღესასწაულეთ. ახლა ის სამიაე წელსაა. დიდია ამ ერთადერთი ქართული სამედიცინო პერიოდიული ბეჭდვითი ორგანოს როლი და მნიშვნელობა ქართული სამედიცინო ბიოგრაფიის განვითარებაში და ბოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში.

ბევრმა, დღეს უკვე სახელმოხვეჭილმა მედიკოსმა მკვლევარმა ამ ჟურნალის ფურცლებზე დაიწყო სამეცნიერო მოღვაწეობა. მრავალმხრივია მისი ღვაწლი. ერთმა გამორჩენლმა კლინიკისტმა მითხრა, რომ სამედიცინო ფრაგმენტი „საბჭოთა მედიცინიდან“ ვისწავლეო. მაშინ დასტამბულ შრომათა ანოტაცია ფრაგმენტი იყო, ახლა იგგლისურია. არსებითად ქართული სამედიცინო ტერმინოლოგია ძირითადად ამ ჟურნალში დადგინდა. და უმაღლესი სამედიცინო განათლების გარეშეყოფ პირველი პერიოდის სამეცნიერო შრომებმა აქ პოვეს ზნის სინათლე და აღიარება.

ჟურნალმა სახელოვანი გზა განვლო და ფრიად მნიშვნელოვანი ისტორია აქვს. ამკამად გადაუპარბედა ზეიძლება ითქვას, რომ გაუმჯობესდა ჟურნალის შინაარსი, მისი ლიტერატურული და პოლიგრაფიული იერი, ბეჭდვის კულტურა; მტკიცედ დაცულია ნომრების გამოსვლის გრაფიკი და, რაც მთავარია, უფრო და უფრო სრულყოფილად ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის პრაქტიკულ ამოცანებს. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ ჟურნალის სარედაქციო კოლეგია და სარედაქციო ბიჭი „საქართველოკის საზოგადოება „ცოდნასთან“ ერთად აწარმოებს სამედიცინო მეცნიერების მიღწევების ლექციურ პროპაგანდას, მეთოდიკურ კონსულტაციებს და მოსახლეობის პრაქტიკულ სამკურნალო დახმარებას რაიონებში.

ჟურნალში თითქმის შეუცვლელად არის წარმოდგენილი ასეთი რუბრიკები: მოწინავე, თეორიული და კლინიკური მედიცინა, პრაქტიკოსი ექიმის სათანადო ბალდ, შემთხვევები პრაქტიკადან, სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია, მოწოდებულია ბიბლიოგრაფია, ჩვენი კალენდარი, რეცენზიები, წერილები, ორგესპონდენციები, ქრონიკა და ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ზნირად გამოჩნდება სხვა რუბრიკებიც. ასეთი აგებულება უსათუოდ მისაღებია. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ საბჭოური მედიცინის ძირითად მიმართულებას, მაშინ პროფილაქტიკური მედიცინა მთლიანად, სოციალური ჰიგიენა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაცია აკობებდა ჟურნალის პრეფეი ნახევარში გადმოგვეტანა. წერილებისა და კორესპონდენციების მონაკვეთში გამოქვეყნებული მასალა, სადაც ეს შესაძლებელია, სკობს განაწილდეს შესაბამის განყოფილებებში. ერთი მაგალითის დასახელებაც იკ დაგვარწმუნებს აღნიშნული ჩანაკვეთის სისწორეში: 1981 წლის მეექვსე ნომრიში წერილებისა და კორესპონდენციების განყოფილებაში გამოქვეყნებული ორი სტატია: „ლოთობასა და ალკოჰოლიზმთან ბრძოლა ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა“ და „საქართველოს სსრ სამედიცინო მრეწველობის განვითარების პრობლემები“. ორივე სტატია შინაარსობრივად პროფილაქტიკურ მედიცინას განეკუთვნება.

უნდა ვეროდოთ რუბრიკების სიმრავლეს; ასეთი დაწვრილმანება რამდენადმე ჩრდილავს მთავარს; ამასთანავე არ უნდა დავრჩეთ დაწესებული რუბრიკების სტანდარტებიანი მედიცინებზე. ამ შემთხვევაში ერთგვარი ზომიერების დაცვა და შემოქმედებითი პრინციპით მიდგომა აკობებს.

ნუ დავმალავთ ზოგიერთ შემჩნეულ ხარვეზს.

გამოქვეყნებული სტატიების რუსული რეზიუმე საჭირო და სასარგებლოა, მაგრამ ყოველთვის არ სრულდება, ეს ეხება უმთავრესად მოწინავე სტატიებს (1981, 6, გვ. 3-4; 1982, 3, გვ 3; 4-8; 28-31). ზოგიერთი მეცნიერული ხასიათის სტატიას აკლია ლიტერატურული მაჩვენებელი (1980, 5, გვ. 57-60; 1980, 6, გვ. 47-49).

რეცენზიების გარეშე სტატია არ იბეჭდება, მაგრამ რეცენზენტები ავტორისა და ჟოთხველისათვის უცნობია, ისინი საოდაქციო პორტფელის ერთგვარ საიდუმლო ოუკუმენტად რჩება. ამ მხრივ გამონაკლისია 1981 წლის პირველი ნომერი, სადაც თეორიული და კლინიკური მედიცინის განყოფილებაში დაბეჭდილი 10 სტატიის სქოლიოში აღნიშნულია რეცენზენტები. მომდევნო ნომრებში ეს უჩვეულო პრაქტიკა არ განმეორებულა.

საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ხასიათის ნაშრომს წამძღვარებული აქვს დასახელება დაწესებულებისა, სადაც შესრულდა ნაშრომი, და მოხსენიებულია დაწესებულების (ინსტიტუტი, კათედრა, ლაბორატორია) უფროსი, რომელიც ამ ნაშრომის მეცნიერული ხელმძღვანელია. თემის მეცნიერული ხელმძღვანელი „საბჭოთა მედიცინაში“ რატომღაც არ იბეჭდება. ეს კი საჭირო და აუცილებელია, რადგან სამეცნიერო ხელმძღვანელი ნაშრომის უშუალო მონაწილეა, იგი არის იდეის მიმცემი, კვლევის ობიექტური მეთვალყურე, აპრობაციისა და ოფიციალური წარდგენის ავტორი. ეს ბარეეში გამოსასწორებელია.

ჟურნალი უნდა იყოს ექიმბაშობასთან ბრძოლის მებაირაბტრე. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი მასალები გამოქვეყნდა 1980 წლის მეორე ნომერში, მაგრამ ეს საქირბოროტო საქმე არ უნდა დავიგიწყოთ, სისტემატურად და ენერგიულად უნდა შეეუტოთ ექიმბაშობას, მაღალ დონეზე ვეიყვანთ ბიოლოგიური მედიცინის მეცნიერული პოზიციები.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატსა და დოქტორის სამეცნიერო ხარისხის ოფიციალურ, საჯარო დაცვამდე სავალდებულოა დისერტაციის ძირითადი შინაარსის დასტამბვა, რომლის გახორციელება დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული; ამიტომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საკვალიფიკაციო თემებიდან ცალკეული ფრაგმენტების გამოქვეყნებას.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტსა და ოცდასამ სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში ფართო მასშტაბის კვლევითი მუშაობა წარმოებს. მათი სამეცნიერო პროდუქცია ქვეყნდება შრომათა კრებულებში, საკავშირო და უცხოეთის სამედიცინო პრესაში. „საბჭოთა მედიცინაში“ ამ შრომების შინაარსის ვრცელი გახსნეცა, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ სასურველია ჟურნალში იბეჭდებოდეს უმაღლესი სამედიცინო ნაშრომებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თემატიკური გეგმით გათვალისწინებული შესრულებული ნაშრომების მოკლე მიმოხილვა იმ კარადეთ, რომ მეცნიერულ ლესელიძის წარმოდგენა ამ ინსტიტუტებში ამოცანადა და ეფექტიანობა.

ეს ბიბლიოგრაფიული ინფორმაციაა ერთ-ერთ ინსტიტუტში ჩატარებული ფუნდამენტალური კვლევის ... ...

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲡ ᲓᲘᲚᲐ ᲗᲔᲜᲓᲔᲑᲐ

ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲘ, 6 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠ.). ᲩᲠᲓᲘᲡᲐᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲠᲒᲠᲫᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲕᲝᲡᲢᲝᲙᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲠᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲛᲫᲣᲮᲐᲠᲘ ᲢᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲣᲪᲮᲝᲓᲚᲐᲓ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ „ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲘ“ (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲝᲠ.). ᲩᲠᲓᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲢᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲡᲪᲘᲠᲚᲘ. ᲛᲐᲒᲐᲚᲗᲐᲜᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲖᲘᲚᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲚᲘᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲐᲠᲘᲪᲘᲡ ᲬᲠᲤᲐᲚᲘ“ (ᲐᲛ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲗᲑᲘᲡᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲚᲘᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲪᲐᲠᲘᲪᲘᲡ ᲬᲠᲤᲐᲚᲘ“ (ᲐᲛ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ